პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 26 იანვარი 1941 წ. № 21 (6026) ფასი 10 კაპ.

815

კომუნისტურად აღვზარდოთ მოზარდი თაობა

სოციალისტური სამშობლო, სტალინური კონსტიტუციის კეთილი ბედნიერებისა და ბედნიერებისა, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შექმნილია ყოველგვარი პირობები, დიდი სტალინური ეპოქის მოზარდი მოსწავლე თაობის კომუნისტურად აღზრდისა და სრული გაფურჩქვნისათვის.

მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში უაღრესად დიდი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საქმეა. ბავშვებზე მზრუნველობაში თავიანთ ძალღონეს აერთიანებენ სკოლა, კომკავშირი, ოჯახი, სახალხო განათლების ორგანები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდას უდიდეს, უურადღებას აქცევენ ლენინ-სტალინის დიადი პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი.**

დიდი **ლენინი** ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიადრუსეთის III ყრილობაზე სკოლის შესახებ ამბობდა, რომ ჩვენი სკოლა „უნდა აძლევდეს ახალგაზრდობას ცოდნის საფუძველს, აძლევდეს უნარს თვითონ შეიმუშაოს კომუნისტური შეხედულებანი, უნდა აქმნიდეს მათგან განათლებულ ადამიანებს...“

დიდი და მეტად პასუხსაგები საქმე აკისრია საბჭოთა სკოლასა და მასწავლებელს. ეს არის ჩვენი მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდა, მისი გამაჯვალვა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის მაღალი გრძნობით.

საბჭოთა მასწავლებელი საყოველთაო-სახალხო სიყვარულითა და პატივისცემით არის მოსილი. მას ყოველგვარი პირობები აქვს შექმნილი მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი პედაგოგიური მუშაობისათვის. ამ უდიდესი ამოცანის შესრულებაში საბჭოთა მასწავლებლებისთან ერთად სასკოლო პარტიული, კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციების, როლი მეტად დიდი.

სკოლაში სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, აკადემიური წარმატებულობის გაძლიერებასა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას სერიოზულ ტვირთვლება აქვეკენ თბილისის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის მე-18 საშუალო სკოლისა და მე-25 საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციების კრებებზე ხშირად ხდება მსჯელობის საგნად სასკოლო მუშაობის საკითხები. ამიტომ არის, რომ აღნიშნულმა სკოლებმა 1940-41 სასწავლო წლის პირველი ნახევარი შედარებით სხვებთან კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. გაიზარდა ფრიადოსან და კარგოსან მოსწავლეთა რიცხვი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სკოლათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან ერთად ენერგიულად მუშაობენ იმისათვის, რომ სკოლაში არ იყოს არცერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე.

მაგრამ ყველა სკოლაში ასე როდი მუშაობენ. მაგალითად, თბილისის მე-59, მე-57, მე-78, მე-9 და მე-96 სკოლებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, დაბალია მოსწავლეთა შორის აკადემიური წარმატებულობა, მოსწავლეთა შორის ადგილი აქვს ხულიგნურ მოქმედებას და სხვ.

ყველაფერი ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული სკოლების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები და ზოგიერთი მასწავლებელ ჯგ კიდევ სუსტად იბრძვიან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი აღმავლობისა და სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ სათანადოდ ვერ ასრულებენ თავიანთ როლს. ცხადია, რომ სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა რკინისებური, შეგნებული დისციპლინისათვის, კარგი და წარჩინებული წარმატებისათვის ბრძოლით. არანაირად არ უნდა დავიგიწყოთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** მითითება: მოსწავლეთა გმირობა და სიმამაცეს — ეს არის სწავლა „ფრიადზე“.

სასკოლო პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სკოლის დირექციას და მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

მოზარდი თაობის, ბავშვთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში სკოლასთან ერთად ოჯახს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. ბევრმა მშობლთა ერთი ნაწილი სავსებით გულგრილად ეკიდება ამ მეტად საპატიო საქმეს. მაგალითად, თბილისის მე-9 სკოლის, მე-9 კლასის მოწაფე ბ. ბ. ეფიზეზიდ აცდენს გაკვეთილებს, უხეშად ექცევა მასწავლებლებს და მოწაფეებს. შობლები მას ყურადღებას არ აქცევენ. კიდევ მეტი, მე-53 სკოლის მოწაფე მ. ხუჩიაე სტოვებს გაკვეთილებს, ამტვრევს სკოლის შენობის ბინებს, მაგრამ შობლები რატომღაც ამაზე თავს არ იწუხებენ.

მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში უდიდეს როლს თამაშობენ კინო-თეატრები. მაგრამ კინოსტუდიის ქრონიკალური განყოფილება არასაკმაოდ უმეჯეს ნარკვევებს ისეთ თემებზე, როგორიცაა სკოლა, ბავშვთა ყოფაცხოვრება და სხვ. თბილისის კინოსტუდიის დირექცია სუსტად მუშაობს სბავშვო კინოფილმების გამოშვებისათვის. მზადდება გამოსაშვებად კინოფილმი „ეპაჯანა“. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი არ არის. საჭიროა იდეურად გამართლებული და მხატვრულად მაღალხარისხოვანი სბავშვო კინოფილმების უფრო მეტი რაოდენობით გამოშვება, რადგანაც ასეთ ფილმებს უდიდესი აღზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ.

საქართველოს, ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანი** საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სანგარაში მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამბობდა: „პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაამეკურონ თავისი ხელმძღვანელობა მოზარდი თაობის აღზრდისადმი, ჩაიბან ამ საქმეში მშობლთა ფართო ფენები, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა და სახელოოდ გაიყალსნოთ სკოლის — კომუნიზმის მშენებელთა მომავალი კადრების ამ საქმედელოს მუშობა“.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის ამ მითითების შესაბამისად სახალხო განათლების მუშაკებმა, სასკოლო პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო ენერგიულად უნდა იმუშაონ ბავშვთა, მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

ზამთარი ჩირჩიქში

ჩირჩიქი, 24 იანვარი (საკუთ.). დღეს დაიწყო ზამთა, რომელიც მიძღვნილია ჩირჩიკის ენერგოკომბინატი ბრიგადის პირველი რიგის ამუშავებისადმი.

მესამე სტალინური ხუთწლედის გიგანტს მთელი რესპუბლიკა აშენებდა. მშენებლობას დიდი დახმარება გაუწიეს პისმა შეფებმა — ეზბეკეთის კომკავშირელებმა. მიწის სამუშაოს ყველაზე საძნელესი ნაწილი კოლმეურნეებმა ჩქარი მუშაობის მეთოდებით შეასრულეს.

1.150 მშენებელი დაჯილდოებულია უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასტინო სიგელებით, ქების ფურცლებით, სახალო კომისარიატთა ნიშნებით.

კოპპნატის კოლექტივს მრავალი მისალუმა მოუვიდა — მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების დიდი საწარმოებისაგან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, ცნობილი სწავლულებისაგან.

ხვალ შესდგება საერთო-საქალაქო ლემონსტრაცია და მიტინგი. ზეიმზე ჩამოდიან უზბეკეთის ასობით საუკეთესო მუშაბმენი და სტუმრები ომიმე რესპუბლიკებიდან.

რუსი მწვრთნელების წერილები

სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა შეიძინა გამოჩენილ რუს მწერალთა წერილების ძვირფასი კოლექცია. საინტერესოა ლ. ტოლსტოის წერილი ერთერთ პროფესორ-ისტორიკოსისადმი. მუშობდა რა „ომი და მშვიდობიანობაზე“, დიდი მწერალი დაინტერესებული იყო კაკასიის ისტორიით, მთის ხალხთა ყოფაცხოვრებით. კოლექციაში არის აგრეთვე კოროლენკოს, ოსტროვსკის, სტანიუკოვიჩის, მარკო ვოვჩოკის, ლესაკოვისა და ჩხეტკინ რუპნინის წერილები.

შეძენილია თ. დოსტოევსკის ორი გამოუქვეყნებელი წერილი. ერთი მათგანი, 1864 წლის 27 ოქტომბრით დათარიღებული, მიწერილია ახალგაზრდა მწერალ ქალს ს. ვ. ნოვოსილცევა - ეფგალერტისადმი. მწერალი არჩევს ენგალერტისადმი. „ეს ... ეფგალერტისადმი. „ეს ... ...

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია

(საუბარი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თავმჯდომარესთან აკად. ნ. ი. მუსხელიშვილთან და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის თავმჯდომარის მოადგილესთან პროფ. ს. ჯანაშიასთან)

ამ დღეებში, როცა ბედნიერი ქართველი ხალხი ემზადება თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის შესახებ ზეიმად, საქართველოს მეცნიერებაც ანგარიშს აბარებს ამ ოცი წლის განმავლობაში ჩადენილ საქმეებზე.



აკად. ნ. მუსხელიშვილი

○

საქართველოს მეცნიერთა კადრებმა, მათმა ენერგიულმა და ნაყოფიერმა მუშაობამ ყველა წარამძღვარი შეაქმნეს საქართველოში მსგავი სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად.

ჩვენი ფილიალის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს ორი აკადემიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ორი წევრი-კორესპონდენტი, 50-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, 70-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ფილიალში სწავლობს და მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის ემზადება 60-მდე ასპირანტი. ფილიალის სამი თანამშრომელი, რომლებიც დისერტაციის დასაცავად ემზადებიან, ღირსნი გახდნენ მიიღონ დიდი სტალინის სახელობის სტიპენდიები.

საქართველოს მეცნიერებმა უკანასკნელ ხანებში დიდი წარმატებანი მოიპოვეს. მათ საბჭოთა მოწინავე მეცნიერებას ღირსშესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომები შესძინეს: ეროვნულ ენების, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ნაშრომებში.

სერიოზულ მუშაობას ეწევა ჩვენი ბოტანიკური ინსტიტუტი, რომელშაც დიდი მიღწევები მოიპოვა საქართველოს კულტურული ფლორის ახალი, სასარგებლო მცენარეებთან გამდიდრების საქმეში. უკვე მიღებულია ხორბლის მრავალწლიანი ფორმები, ქლიავის ჰიბრიდები და სხვ.

ქიმიური ინსტიტუტი ამუშავებს საქართველოში არსებული ნედლეულის — მარგანეცის, ნავთის, ქვანახშირის, ჩაის და სხვ. აქტუალურ პრობლემებს.

დიდი ყურადღების ღირსია პროფესორ მ. ზ. ნოდიას (გეოფიზიკური ინსტიტუტი) ნაშრომი „კავკასიის ყელის მაგნიტური ველი“ და სხვ.

საქართველოს სსრ-ის ფარგლებს იქითაც ცრობილი გახდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა ნაშრომები დრეკადობის თეორიის საკითხებზე, რომლთაც თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პრაქტიკული გამოყენებაც აქვთ სოციალისტურ მშენებლობაში.

პროფ. ს. ჯანაშია

○

ამჟამად, როცა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნება დართო მოაწყოს საქართველოში მეცნიერებათა აკადემია, ექვი არ არის, რომ ჩვენს ინსტიტუტებსა და მეცნიერებას უფრო დიდი და ფართო გასაქანი ექნებათ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია გახდება ის ცენტრი, რომლის გარშემო გაერთიანებული იქნება რესპუბლიკის მთელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია დიდად შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის შემდგომ კულტურულ წინსვლას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გახსნა გაახარებს ჩვენს მშრომელებს. ეს მოვლენა დიდი საზოგადოებრივი და სამეცნიერო მნიშვნელობისაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები, კიდევ უფრო გავფურჩქნოთ და ავფაფაროთ ჩვენი მოწინავე მეცნიერება.

საქართველოს ჰიდროლოგიის პრობლემები

(საუბარი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფ. მ. ა. ველიკანოვთან)

ამ სადგურსა უნდა მოგვეცეს მასალა მყინვარის მდინარეთა დინების გათვალისწინება - პროფესორისაგან.

და, დასასრულ, ეგრეთწოდებული წყალშეგა ყინულის პრობლემა, რაც ხშირად დიდად აზიანებს ჰიდროსადგურებს.

გეოფიზიკურმა ინსტიტუტმა უნდა შესაფერლოს ეს პრობლემა. რათა ჰიდროსადგურთა მუშაკებს მისცეს პროგნოზი, ე. ი. იმის შესაძლებლობა, რომ დროთაგან ებრძოლონ ხოლმე წყალშეგა ყინულს.

○

23 იანვარს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ მოისმინა პროფ. ველიკანოვის ხსენებული, მოიწონა მის მიერ შემუშავებული პრობლემატიკა და დასახა, თუ რა თანმიმდევრობით უნდა გადაწყდეს საქართველოსთვის ეს ყველაზე აქტუალური ჰიდროლოგიის პრობლემები.

(საქდელი).

საქ. კ. პ. (ბ) ქალაქკომებისა და რაიკომების კლენუმები

ფოთი

ფოთი („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მე-7 პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი კადრების დარგში ამხ. ბ. ასანიძე სასწავლებელში მივლინების გამო.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში ერთხმად აირჩია ამხ. შ. გეფონი.

კ. ტაბალუა

ლანჩხუთი

ლანჩხუთი („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ამხ. იე. ფრანგულიანშვილი გაათავისუფლა საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან, მისი სასწავლებელში წასვლის გამო. პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობის აღმსრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. ხაგოასი.

ვ. მეძვაგიშვილი

წალენჯიხა

წალენჯიხა („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ი. ნაჭყებიას საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ.

ამხ. ი. ნაჭყებიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ვ. ფაჩულიამ, მ. კვარაცხელიამ, ა. რაფავამ, ვ. კვარაცხელიამ და სხვ.

განხილულ იქნა აგრეთვე ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. ი. ნაჭყებია გაათავისუფლა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან მისი სასწავლებლად წასვლის გამო. საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის აღმასრულებლად ერთხმად აირჩია ამხ. ა. კვარაცხელია.

აკ. ქვარცხავა

ომი ალბანეთსა და აფრიკაში

(18-დან 25 იანვრამდე ფაშისტური საომარი მოქმედების მიმოხილვა)

ალბანეთის ფრონტზე ამ უკანასკნელ კვირაში ორი საყურადღებო ამბავი მოხდა — ბერძენთა ჯარის გასვლა ვალონის მისასვლელებზე და იტალიელთა ჯარის გაძლიერება მთელს ფრონტზე.

იტალიელთა ჯარის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბერძენთა ჯარი წელ-წელა კვლავ წინ იწევს ვალონის მიმართულებით და, როგორც ამერიკელი კორესპონდენტები იუწყებიან, იგი უკვე ალუას ტატყამს ქალაქს სამი ძმრიდან. 23 იანვარს ბერძენთა ჯარი ვალონას დამორბევი იყო სულ 20 კილომეტრით. ვალონის დაკარგვას, სადაც ბაზა აქვს იტალიელთა მე-11 არმიას, შეუძლია მნიშვნელოვნად გაართულოს იტალიელთა ჯარის მდგომარეობა, რადგან ამ შემთხვევაში მთ მარტო დურაკოს ნავსადგური დარჩებათ, რომელსაც ეყრდნობიან მე-9 არმია და ფრონტის ცენტრალურ უბანზე მოქმედი ალბიერი კორპუსი.

ფრონტის სამხრეთის უბანზე ბერძენთა ჯარის წინსვლის შესაჩერებლად, იტალიელთა ჯარს ტანკებისა და ავიაციის დახმარებით ინერგიული კონტრიერიშები მიეაქვთ. რაც ზოგჯერ გაფფრენებული ხელჩართული ბრძოლის სახითაც ილება.

გაფფრენული ბრძოლა ცვალებადი წარმატებით სწარმოებს ტეპელენის რაიონში და კლისურის ჩრდილოეთითაც. ფრონტი დანარჩენ უბნებზე წარსულ კვირაში მდგომარეობა არ შეცვლილა.

უცხოელი კორესპონდენტების ცნობით, ალბანეთში იტალიელთა 18 ახალი დივიზია ჩავიდა. დღემდე იტალიელებს ნაწილ-ნაწილ მიღებული მამელი ძალები სხვადასხვა დროს გაეყავდათ ბრძოლაში ფრონტის სხვადასხვა უბნებზე. მდგომარეობის აღსადგენად; ამრიგად იტალიელთა სარდლობას საშუალება არა ჰქონდა მანვარის გასაწევად თავი მოეყარა ჯარის ძლიერი ჯგუფისათვის.

ალბანეთში, იტალიელთა ჯარის მნიშვნელოვან გაძლიერებასთან დაკავშირებით, უახლოეს ერთი-ორ კვირის განმავლობაში შეიძლება მოველოდეთ დიდი ოპერაციების გაშლას ამ ფრონტზე, და ეკრძოდ ამის სამხრეთ უბანზე. ბერძენთა სარდლობამ დაიწყო ზობების მიღება დაკავებული პოზიციების გასამაგრებლად.

○

ლიბიაში ინგლისის ჯარმა, ავიაციამ და საბრძოლო-საზღვაო ფლოტთან ერთად, იერიში მიიტანა ტობრუკზე, სადაც თავს იცავდა იტალიელთა მე-22 საარმიო კორპუსის დივიზია და რამდენიმე მცირე ნაწილი. იერიშმა ზონაწილეობდა სამი ავსტრალიური დივიზია, რომლებსაც ეხმარებოდნენ არტლერიის ორი პოლკი, ორი ჯავშანსატანკო დივიზია და ვენერალ ფე 	ილ ბოლის მამრი ფრანგთა მექანიზებული ნაწილების შენაერთი. იერიშის წინ ტობრუკს ძლიერ დაუშინა ყუმბარა ინგლისის საზღვაო ფლოტმა. იერიში დაიწყო 21 იანვარს გარიკაჟზე და მთელ დღეს გრძელდებოდა ავიაციის განუწყვეტელი დახმარებით. საოპოს ავსტრალიელთა ჯარის ნაწილები შეიჭრნენ იმ სიმაგრეთა აღმოსავლეთ ნაწილში, რომლებიც გარს ერტყმიან ქალაქს. ტობრუკისთვის გაფფრენებული ბრძოლა გრძელდებოდა შემდეგი დღის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, ხოლო 22 იანვარს ნაშუადღევს ავსტრალიელთა ჯარმა ქალაქი დიაკავა. ინგლისელთა ჯარი კვლავ უტევს ტობრუკს დასავლეთით.

ლიბიაში მოქმედ ინგლისელთა ჯარს წინააღმდეგობა გაუწიეს საბრძოლო-საზღვაო ფლოტმა ერთად, ავიაციამ და საბრძოლო-საზღვაო ფლოტმა. ინგლისელთა ჯარის ლიბიაში ბრძოლა ამ ბოლო დროს ძალიან ფართოდ ეგრეთ-ეგრეთ ეკიდა. ინგლისელთა ჯარი

ვიბრძოლოთ მარცვლეულის მაღალი მოსავლისათვის

ამხანაგმა სტალინმა 1935 წლის დეკემბერში მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ამოცანა — უახლოეს 3-4 წელს საბჭოთა კავშირში მიეცეწოოთ 7-8 მილიარდი ფუთი კურის მოკუმანას. ეს საქართველოს, კოლმეურნეობის ავალებს მიიღონ ზომები მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი ალმავლობისათვის და ფარტობების გადიდებისათვის.

...თვითეულმა რაიონულმა კარტიოლამ ორგანიზაციამ კონკრეტულად უნდა იმუშაოს თავისი რაიონის პირობებში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების და კურის საერთო მოსავლის გადიდების საკი თხებზე.

ლ. ბერია

სერიოზულად ვიმუშაოთ მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების საკითხებზე

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკკ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი ალმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ უაღრესად დიდ ამოცანებს გვისახავს, კერძოდ, მარცვლეულის მაღალი მოსავლის მიღების საქმეში.

ამ დავალების წარმატებით შესრულების მიზნით ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებმა ფართოდ გაშალეს ომუშაობა. კოლმეურნენი წარმატებით იბრძვიან იმისათვის, რომ წელს მიიღონ ბევრად უფრო მეტი მარცვლეული, ვიდრე 1940 წელს.

ხაშრის რაიონის კოლმეურნეობებს ყველა საშუალება ექვთ იმისათვის, რომ ჰექტარზე საშუალოდ აიღონ 15 ცენტნერი და მეტი მარცვლეული. მაგალითად, სოფ. წრარმის ოქტომბრის რეგილეციის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 1938 წელს სიმინდი მიიღო 15,95 ცენტნერი, 1939 წელს — 23,45, ხოლო 1940 წელს, მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, — 17,43 ცენტნერი. სოფ. იმერლიანთკარის კოლმეურნეობამ „წინ სოციალიზმისაკენ“ შემოდგომის ხორბალი ჰექტარზე საშუალოდ გასულ წელს 11,02 ცენტნერი მიიღო, სიმინდი 1939 წელს — 29,47, ხოლო 1940 წელს — 14,8 ცენტნერი. სოფ. ახალშენის კოლმეურნეობა „ბორველ მაისში“ გაზაფხლის ქერის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 1939 წელს 11,66 ცენტნერს მიაღწია, გასულ წელს კი—13 ცენტნერს. მარცვლეულს ასევთვე მოსავალი მიიღეს სოფ. გვერდისუბნის, პატარა ახალსოფლის, ნაცარგორის, ხიდისყურის, ღანძილების, ტაშისკარის, ალექსანდრეს წყაროს და რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

ამოცანა ის არის, რომ მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე ყველგან უკეთესად მოვაწყოთ შრომა, უკეთ გავაკეთოთ აგროწესები. ამ მიზნით 1941 წელს მაღალი მოსავლის ერთიერთი პირობა — მზარალად ხვნა რაიონში ვადაზე გადაჭარბებით იქნა შესრულებული, ნაცვლად 6.900 ჰექტარისა მოხნულია 7.195 ჰექტარი. გარდა ამისა, დაჯავშნულია 2.120 ცენტნერი ქერის კონდიციური თესლი ნაცვლად 2.000 ცენტნერისა, 357 ცენტნერი ხორბლის თესლი ნაცვლად 350 ცენტნერისა, 3.045 ცენტნერი სიმინდის თესლი ნაცვლად 3.000 ცენტნერისა და სხვ. გამოყოფილი მთელი სათესლე მასალა 20 თებერვლამდე საბოლოოდ შემოწმდება თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში.

საჭიროა ისე დავაყენოთ მთელი მუშაობა, რომ უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებში ჰექტარზე საშუალოდ 13 ცენტნერი თავთავიანი ნი და 20 ცენტნერი სიმინდის მიღება. „ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დროულად და ყოველმხრივ სანიმუშოდ გავაკეთებთ აგროწესებს, ფართოდ დავნერგავთ მოწინავეთა გამოცდილებას.

გასული წელისაგან განსხვავებით წელს რაიონში შემოღებელი იქნება თესლბრუნვა. გარდა ამისა, მიღებულია ზომები იმისათვის, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, დაწარჩენ ყოველდღიურ სამუშაოებთან ერთად, ტარდებოდეს დროზე და ხარისხიანად. კოლმეურნეობებში ისე უნდა მოეწყოს შრომა, რომ უზრუნველ ყოფილ იქნას სამუშაოთა სწორი განაწილება პრიგადებსა და ბრიგადებში. ამ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგნენ რაიონის ოფგორკ. ხელმძღვანელი ორგანიზაციები, ისე სპეციალისტები, კოლმეურნეობათა მთელი აქტივი.

ხაშურის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები პირობას იძლევიან, რომ უზრუნველყოფენ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომ თვალსაჩინო გადიდებას. გაზეთრელად შევასრულებთ სსრ კავშირის სახალხოპარტიოს და სკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 15 ოქტომბრის დადგენილებას ქართლის რაიონების სოფლის მეურნეობის შემდგომი ავეადგილების ღონისძიებათა შესახებ.

ბ. ხუციძე

სკკ კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი.

ფართო გზა მარცვლეულის აღდგილობრივ ჯიშებს

ლაგოდეხის რაიონი ცნობილია ცენტნერი. ლაგოდეხის რაიონმა 1940-41 წლებში 80 პროცენტით ადგილობრივი ჯიშები დასთესა. მომავალი წლიდან კი მოლიანად ადგილობრივი ჯიშების თესვაზე უნდა გადავიდეს. რისთვისაც უკვე მომზადებული და შექმნილია ყველა პირობა.

მომდინარე წლის გაზაფხულზე მომკის წინ ჩვენ მოგვიხდება მთელ რიგ ფარმობებზე, სადაც დაბალი კატეგორიის ადგილობრივი ჯიშებია დათესილი, ჩავატაროთ ჯიშობრივი გამარგვლა, რათა მიეცეწოოთ ჯიშის გასუფთავებას ესხვა შერეული ჯიშებისაგან და აეწოოთ მისი კატეგორია. მარტო ეს ღონისძიება მომავალში გაზრდის მოსავალს, 10-15 პროცენტით. ნათესების სარეველა ბალახებისაგან დროული და ხარისხიანი მარგვლა საშუალებას მოგვცემს მიეღოოთ ხარისხიანი სათესლე მასალა.

ამჟამად კოლმეურნეობებში მიმდინარეობს ადგილობრივი სასუქების შეგროვება. ეს სასუქი თავის დროზე შეტანილი იქნება პირველ რიგში იმ ნაკვეთებზე, სადაც დაბეჭქვა ნაკლებია და მეცნარე მიტ საკვებს მოითხოვს.

სიმინდის ცნობილ ჯიშად უნდა ჩაითვალოს ადგილობრივი თეთრი ნახევრადგვიანი სიმინდი, რომელიც გვაღლვის ამტანია და ურწყავ ადგილებში კარგ მოსავალს იძლევა. მიუხედავად ხანგრძლივი გვალვისა, 1940 წელს ცალკეულმა კოლმეურნეობებმა სიმინდის ნათესის 2-3 თოხნის ჩატარების შედეგად კარგი მოსავალი მიიღეს: კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 35,7 ცენტნერი მიიღო, სოფ. თამარინის ქირვის სახელობის კოლმეურნეობამ 48 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე — 27,5 ცენტნერი, კოლმეურნეობა „კრასნოარმეეცმა“ 45 ჰექტარიან ფართობიდან მიიღო 22,5 ცენტნერი საშუალოდ ჰექტარზე.

აღნიშნული ჯიშის მრავალი წლების მანძილზე მუდამ მაღალ მოსავალს იძლეოდა. მომავლშიც დასაბუნი უნდა იქნას ღონისძიებანი, რომელნიც საკუნით გამოამეღლავნებენ მის მაღალმოსავლიანობის უნარს.

ლაგოდეხის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოო ორგანოების ამოცანაა გამოიყენონ ყველა საშუალება და მიიღონ მარცვლეულის მოსავალი საშუალოდ რაიონში არა ნაკლებ 15 ცენტნერისა ჰექტარზე.

შ. ნუცუბიძე

სკკ კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი.

მარცვლეულ კულტურათა შემდგომი აღმავლობისათვის

ქართველი ხალხის საამაყო შვილება ამხ. ლ. ბერიამ დააყენა საქართველოს საკუთარი პერით უზრუნველყოფის ამოცანა. ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებაში სოფლის რაიონს მცირე ხვედრითი წონა რომ აქვს. ეს რაიონის პარტიელი, საბჭოთა და სამეწარმოებელ ორგანოების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეთა მასებს აკავებს არ დაკმაყოფილნენ მიღწეულით და ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლონ მარცვლეულის შემდგომი ალმავლობისათვის. უკანასკნელი ოთხ წლის განმავლობაში რაიონში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული 9,7 ცენტნერი თავთავიანი მარცვლეული კულტურები, სიმინდი კი — 10,25 ცენტნერი. თუ ცალკეული წლების მოსავლიანობას განვიხილავთ, დავინახავთ, რომ 1940 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წლებთან შედარებით დაბალი მოსავალი მიიღეს.

მარცვლეულ კულტურათა დაბალი მოსავლის ერთერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ შორაქსა და ალაზანში 10.500 ჰექტარ ფართობზე, რომელიც რაიონს დიდი მანძილით არის დაშორებული, ათიული წლების მანძილზე განუწყვეტლივ მარცვლეული კულტურები ითესება. არ ხდება მათი შენაცვლება სათოხნი და სხვა კულტურებით, რაც ხელს შეუწყობდა ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენას და ამავე დროს ხელს შეგვიწყობდა სარეველა ბალახებისა და შინდრის. მაგნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთისა და იმავე ნაკვეთებზე მარცვლეული კულტურების თესვის გამო შორაქსა და ალაზნის მინდვრების 30-35 პროცენტი დასარეველიანებულია.

სიღნაღის რაიონში ფართო გაქანება უნდა ჰპოვოს მარცვლეულ კულტურათა განვითარებამ. საამისოდ ყველა პირობა არსებობს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის განვითარების მხრივ სიღნაღის რაიონს ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს მთელ საქართველოში. რაიონში მოწყობილია სამი მძლავრი მტს-ი 178 ტრაქტორით, 88 კომბაინით და სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით. ხვნის, თესვის, ფარცხვის და მოსავლის აღების, გალეწვის სამუშაოთა 90-95 პროცენტი მექანიზებულია. პარტიისა და მთავრობის ეს უდიდესი ხელშეწყობა ყოველგვარ პირობას ქმნის იმისათვის, რომ გაბედულად წინ წავიწიოთ კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურები.

1941 წელს რაიონის კოლმეურნეობები სერიოზული ამოცანების წინაშე დგანან. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჰექტარზე საშუალოდ უნდა მივიღოთ სულ მცირე 12-13 ცენტნერი მარცვლეული კულტურები. ეს ამოცანა წარმატებით რომ შეკასრულოთ, იმისათვის საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვკიდოთ ხელი ჯიშიანი და მაღალხარისხოვანი თესლით თესვას. გასული წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ „კოოპერატორკა“ ჭარბი სინესტის პირობებში აღვილად აკადდება ქანგათი. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაბედულად გადავიდეთ დოლის პურის თესვაზე; დოლის პური კარგად ეგუება ადგილობრივ პირობებს და შედარებით კარგად ტანს გვალვასა და სინესტეს. 1940 წელს შემოდგომიდან რაიონმა ამ მხრივ უკვე გადდგა პირველი ნაბიჯი. სამშემოდგომოდ დაითესა რამდენიმე ასეული ჰექტარი დოლის პური. სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობამ, რომელმაც თესლბრუნვაა შემოღებული, გასულ წელს შემოდგომაზე მთლიანად დოლის პური დათესეს. უნდა ითქვას, რომ სამშემოდგომო ნათესების ჯიჯილებს კარგი პირი უჭირს.

საჭიროდ მიგვაჩნია რაც შეიძლება დაჩქარდეს ბალახ-მინდვრივან თესლბრუნვაზე გადასვლა, რაც საშუალებას მოგვცემს სწორად გამოვლაგოთ კულტურები, გავაუმჯობესოთ ნიადაგის სტრუქტურა და მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად მტკიცე საკვები ბაზა შევუქმნათ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველყოფად გადაწყვეტილი გვაქვს მასობრივად მოვაწყოთ კოლმეურნეობებში ორგანული სასუქის შეგროვება და მიზნობრივად გამოყენება, გავადიოთ თავთავიანი კულტურების ჯვარედინი წესით მოკრეფად თესვა.

სიღნაღის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ყველაფერს გაკეთებენ იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვის სანიშუშოდ ჩატარებით, ნათესების კარგად მოვლით და აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ურყევად გატარებით 1941 წელს მიიღონ მარცვლეულ კულტურათა მაღალი მოსავალი ყველა კოლმეურნეობაში, ყველა ბრიგადასა და რგოლში.

ვლ. მაზნიაშვილი

სიღნაღის რაასამბლეის აღმასკომის თავმჯდომარე.

რ. დოლონაძე

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონის დირექტორი.

ფართოდ დავნერგოთ სტახანოვური აგროტექნიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობები, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკის „კოლმეურნეობებთან ერთად ენერგიულად მუშაობენ სტალინური დავალების — უახლოეს წლებში 8 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოყვანის განხორციელებისათვის.

საქართველოს წილი ამ დიდი ამოცანის ბრწყინვალედ შესრულების საქმეში მტკიცედ განსაზღვრა ამხ. ლ. პ. ბერიამ, რომელმაც დადაუდგინა ამოცანად დაგვისახა საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფა.

საქართველოში ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართობის კადიდებამ არა თუ არ შეამცირა მარცვლეული კულტურების ფართობი, არამედ, პირიქით, ეს ფართობი ჩვენში ყოველწლიურად იზრდება, მატულობს მოსავლიანობა. მარცვლოვანი კულტურების ზრდა ხდება დღემდე გამოუყენებელი მიწების ათვისებისა და უვარგისი ფართობების სახმარ მიწებად გადაქცევის საშუალებით.

ამჟამად მთავარი ამოცანაა კოლმეურნეობებში სტახანოვური აგროტექნიკის დანერგვა და მაღალი მოსავლიანობის მიღება.

მარცვლეულის წარმოება საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში ერთიერთი წამყვანი დარგია და ჩვენს სახალხო მეურნეობაში უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. აქედან გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ანიჭებენ მარცვლეულ კულტურათა განვითარებას.

1939 და 1940 წლებში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, როგორც ზონალურ ისე დარგობრივ პავილიონებში — ყველას თვალსაჩინოდ უჩვენა, თუ რა დიდი მიღწევები აქვთ საბჭოთა კავშირის ცალკეულ მოძმე სოციალისტურ რესპუბლიკებს მარცვლოვან კულტურათა განვითარების დარგში. პავილიონებში მარცვლოვან კულტურათა სტენდებზე — ციფრები, ფოტოსურათები, პანოები, დიორამები, ეცალცალ ექსპონატები და ღია ნაკვეთების ნათესები აპკარა და მტკიცედ დამაჯერებელი ილუსტრაცია იყო იმისა, თუ რაოდენ თვალსაჩინოდ იზრდება საბჭოთა კავშირში მარცვლოვანი კულტურები ახალი ფართობების ათვისების ხარჯზე, რა შეუპოვრად იზრდება ყოველწლიურად მოსავლიანობა, ვითარდება აგროტექნიკა, იზრდება მექანიზაციის ფონი.

1939 და 1940 წლებში სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე თვითეული ნიმეველი ეცნობოდა მარცვლეულის მოწინავე ბრიგადების, რგოლებისა და ცალკეულ კოლმეურნეთა სტახანოვურ აგროტექნიკას, შეიძინა და წარმოების სწორი ორგანიზაციის საკითხებს.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ საყოველთაოდ ცნობილი გახადა ფართო პოპულარიზაცია გაუკეთა მარცვლოვან კულტურათა მაღალი მოსავლიანობის ისეთ ოსტატებს, როგორიც არიან: ციმბირის სამხრეთ ნაწილის, ალტაის მხარის კოლმეურნეობა „ნაპერწკალის“ რგოლის ხელმძღვანელი ეფრემოვი, რომელმაც მიუხედავად ადგილობრივი არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა თავისებური აგროტექნიკის გამოყენებით 61 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი, მაშინ როდესაც ამ მხარეში მარცვლეულთა საშუალო მოსავალი ჰექტარზე 5 ცენტნერს უდრიდა; ოლენიკოვი — სტალინგრადის ოქრის კოლმეურნეობა „წითელი პარტიზანის“ ბრიგადირი, რომელმაც მორწყვის სისტემაში შეიტანა თავისებური ხერხები და ჰექტარზე მიიღო 75 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი. ასევე ცნობილი გახდნენ მარცვლეულ კულტურათა მაღალი მოსავლიანობის მოწინავე ადამიანები კურსაკოვი, კოზლერატენკოვი, ჩუმანოვი და სხვ. ამ ღირსშესანიშნავ ადამიანთა გამოცდილების მიხედვით დღეს მთელ საბჭოთა კავშირში ფართოდ არის გაშლილი სოციშეჯიბრება მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველყოფად. ათასობით შეიქმნენ ეფექტიანი რგოლები, ინერგება და მტკიცდება ეფექტიანი მოწინავე აგროტექნიკა.

საქართველოს, მიღწევები მარცვლოვან კულტურების დარგში საკმაოდ კარგად იყო ასახული სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში, მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამო გავრცელებულია პეროულის ფარმოშობის კერად ითვლება. ამ მოგზტს ასახავდა პავილიონში წარმოდგენილი პეროულის გავრცელების სქემა. პავილიონში წარმოდგენილი იყო ნატახტარის მემანდარეობის სასელექციო და მეთესლეობის ცენტრალური სკონტროლო სადგურის მიღწევები. საქართველოს დამახასიათებელი პეროულის ცოცალი ექსპონატები, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომის“ მიღწევები მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გაზრდის საკმეში და სხვ.

საქართველოში ცოტა როდი არიან ისეთი კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, რომლებმაც აგროტექნიკის დროულად გატარებით, შრომისა და წარმოების სწორი ორგანიზაციის დანერგვით უზრუნველყვეს მარცვლეულ კულტურათა ყოველწლიური ზრდა.

ახალციხის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პოგრანიჩნიკმა“ 1937-39 წლებში 172 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 18,3 ცენტნერი მარცვლეული. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობამ „კომუნის გზით“, რომელიც მეორე ხარისხის დიპლომით არის დაჯილდოებული — 798 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 13,1 ცენტნერი მარცვლეული. სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „შრომამ“ 995 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე 12,5 ცენტნერი მიიღო.

ასპინძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გიორგი ხიხაძემ 1938-39 წლებში საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველყო 21,5 ცენტნერი მარცვლეულის მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მთელ რიგ კოლმეურნეობებს და სოფლის მეურნეობის მოწინავეებს საკმაოდ კარგი მიღწევები აქვთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ზრდის საკმეში, ჯერ კიდევ ზოგიერთ კოლმეურნეობებში ორ ისეთ საკრონ ზრუნვა ამისათვის, რომ გამოიყენონ მოწინავე მეურნეობათა და კოლმეურნეთა გამოცდილება, გაატარონ სტახანოვური აგროტექნიკა, მოაწესრიგონ შრომა და იბრძოლონ მოსავლიანობის ყოველწლიურად გაზრდისათვის. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან მეურნეობის ისეთი უყაირათო ხელმძღვანელები, რომლებიც დაბალი მოსავლიანობის მიზეზად ხმობენ არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებს ასახლებენ. სინამდვილეში კი ძირითადად მარცვლოვან კულტურების მოსავლიანობის ალება და ორამყარი მოსავალი უნდა ავხსნათ იმით, რომ მეურნეობაში არ ტარდება აგროტექნიკის საკრონ კომპლექსი, დარღვეულია აგროტექნიკის გატარების ვადები და მოწესრიგებული არ არის შრომა.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მთელ რიგ სტენდებზე პირველ რიგში მიახვეს ყურადღებას ისეთ ოსტატ სწორ-რიგ ინ მომეტებულ, თუ როგორ ებრძვის ადამიანი ბუნების სტიქიურ პირობებს სოფლის მეურნეობის დარგში და მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი მოვლენებისა, როგორიცაა გვალვები, ზედმეტი ნალექები, წყალდიდობა, მავნე ქარები, მავნებლებისა და აკადმეოფობის გავრცელება და სხვ., ადამიანმა, შეისწავლა რა ყველა ეს პირობები, მათ დაუპირისპირა სათანადო ღონისძიებანი, თავისებური აგროტექნიკა და უზრუნველყო მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის ყოველწლიური ზრდა. ავიღოთ თუნდაც დასახელებული ამხ. ეფრემოვის გამოცდილება, მან ხომ მკაცრი გვალვიანობის პირობებში შესძლო მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება.

რას გვეუბნება საქართველოს სინამდვილე? ჩვენში ზოგგან გაიგონებთ, რომ 1940 წელს ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო დაეცა მარცვლოვან კულტურების მოსავლიანობათ. რა თქმა უნდა, 1940 წელი კაპრიზული იყო. მაგრამ ფაქტია ის, რომ მთელი რიგი ჩვენი მეურნეობანი არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებს მიმზადებულნი ვერ შეხვდნენ, ვერ დაუპირისპირეს სათანადო აგროტექნიკა და სინამდვილეში მთელ რიგ კოლმეურნეობებში მარცვლოვანმა კულტურებმა გაცილებით ნაკლები მოსავალი მოგვცეს, ვიდრე 1939 წელს.

საქართველოში ცოტანი როდი არიან კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებმაც მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, 1940 წელს მარცვლეულის მტი მოსავალი მიიღეს ან იმეფნივე, რამდენიც 1939 წელს. სახიმეშოდ ავიღოთ ლაგოდეხის რაიონი: ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 1939 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 13,9 ცენტნერი სიმინდის მოსავალი, ხოლო 1940 წელს — 14,95 ცენტნერი. ლუქსემბურგის რაიონის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გარეგინ მინოსიანმა 1939 წელს ჰექტარზე მიიღო 45 ცენტნერი სიმინდის მოსავალი, ხოლო 1940 წელს 45,5 ცენტნერი. ასეთები შეიძლება მრავალი დავასახელოთ.

მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში აგროტექნიკის სწორად და დროულად გატარებასთან ერთად მთავარი ყურადღების ღირსია ჯიშების შერჩევა. ჩვენს პირობებში ეს შეგვიძლია დავინახოთ თუნდაც შემდეგი მაგალითით. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემოქედის კოლმეურნეობაში „კომუნის გზით“ 1940 წელს მარცვლეულ კულტურათა ჯიშების გამოცდის სახელმწიფო კომისიის საკონკურსო ნაკვეთზე ჰექტარზე მიიღეს საშემოდგომო ხორბალი — ძალისუტა 27,5 ცენტნერი, ბანატკა — 21,7 ცენტნერი. ამავე კოლმეურნეობაში საწარმოო ნათესებიდან, სადაც დროულად და სწორად ჩატარდა აგროტექნიკის კომპლექსი (მოხვნა, ადრე გაზაფხულზე დფაარცხვა, ოშვა, თესლის შეწამლვა, კონდიციური თესლით თესვა, ნათესის დაფარცხვა, სასუქების შეტანა, გამოხეკვა და მოსავლის აღება)— სამეურნეო ჰექტარზე მიიღეს ბალსიუტა 18,6 ცენტნერი, ბანატკა — 15,9 ცენტნერი. ამავე დროს ამ რაიონის შედარებით მოწინავე კოლმეურნეობებში, სადაც ჯერ კიდევ ითესება „კოოპერატორკა“, გაცილებით ნაკლები მოსავალი მიიღეს. ასე, მაგალითად, ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე აიღო 8 ცენტნერი, ხოლო კოლმეურნეობა „წითელმა ვარსკვლავმა“ 6 ცენტნერი და ა. შ. ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება საგაზაფხულო ხორბლის, ქერის, სიმინდისა და სხვა მარცვლეულ კულტურათა მიმართ. მარცვლოვან კულტურათა ჯიშების ცალკეული მაკრო ბაიონებინ-სათვის, შერჩევა გადაუდებელი ამოცანაა ჩვენში მოსავლიანობის სწრაფად გადიდების უზრუნველყოფად.

1941 წელს, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობისათვის საქართველოს რაიონებმა, კოლმეურნეობებისა და მოწინავეებისაგან წარმოდგენილი დოკუმენტების წინასწარი განხილვა მოწმობს, რომ მათ საგრძნობი მიღწევები აქვთ მარცვლოვანი კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ მთა ზღვარს მიაღწია. ამ რაიონებსა და კოლმეურნეობებს, ბევრი რამ შეუძლიათ აგროთვე გააკეთონ მარცვლოვანობის შემდგომი გადიდებისათვის, იმისათვის, რომ მივაღწიოთ ერთ ჰექტარზე 20-25 ცენტნერ მოსავალს.

1941 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა კიდევ უფრო დიადი იქნება და ფართოდ უჩვენებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევებს, მოწინავე ადამიანთა მეშობის მეთოდებს, ბუნების სტიქიონთან ადამიანის ბრძოლის შედეგებს.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოფენაზე მიღებული გამოცდილება გადმოვიტანოთ და დავნერგოთ ჩვენი მეურნეობის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ყურადღებას არ აქცევენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან დაბრუნებულ კოლმეურნეთა საუბრების მოწყობას, გამოფენაზე მიღებულ შთაბეჭდილებათა გაზიარებას. ჯერ კიდევ ბევრგან სუსტად სწარმოებს მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების დანერგვა. ეს სერიოზული ნაკლი ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეწარმოებელმა ორგანოებმა ზუცილებლად უნდა გამოასწორონ.

ფართოდ დავნერგოთ კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების სტახანოვური აგროტექნიკა, უზრუნველვყოთ საქართველოს საკუთარი პური.



სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მარცვლეულის პავილიონი („ზერნა“).

მდგომარეობა რუმინეთში

ბუქარესტი, 24 იანვარი (საკადესი). რუმინეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ გენერალმა ანტონესკომ რუმინეთის მოსახლეობას მიმართა ახალი მოწოდებით, რომელშიაც აცხადებს, რომ „ყოველი ღონისძიების მიუხედავად, შეუძლებელი გახდა მეამბოხეთა მოწოდება წესრიგისაკენ". იმ ტყვიამფრქვევებითა და ზარბაზნებით შეიარაღებულმა მეამბოხეთა ჯგუფმა, — ნათქვამია მოწოდებაში, — რომლებიც წინასწარ დაიპყრეს შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა თავადრობის ძალით დასამხობად, სროლა აუტეხა მინისტრთა საბჭოს რეზიდენციას, აგრეთვე თავადრობის სხვა დაწესებულებებს. მეამბოხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენებულ იქნა არმია.

როგორც იგივე სააგენტო იუწყება, გენერალ ანტონესკუს მიერ არმიისადმი გაცემულ ბრძანებაში ნათქვამია, რომ არმიის ჩარევის მეოხებით „წესრიგი დამყარებულ იქნა".

რუმინეთის ხელისუფალთა განკარგულების თანახმად, მთელს საბელეშეფოში აკრძალულია კრებები და მიტინგები.

ბელგრადი, 24 იანვარი (საკადესი). იუგოსლავია - რუმინეთის სახლვრიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ 23 იანვარს რუმინეთისა და იუგოსლავიას შორის საერაროზზო მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. მგზავრები, რომლებიც იუგოსლავიაში უკანასკნელი მატარებლით ჩავიდნენ რუმინეთიდან, მოგვითხრობენ, რომ რუმინეთში ჯერ კიდევ უწესრიგობაა. აგრეთვე იუწყებიან, რომ მეამბოხეები ძალა-ეფლებას ინარჩუნებენ პატარა ქალაქებსა და დაბებში, სადაც ახლახერხო გარნიზონები არ არიან.

ჟურნალისტთა წრეებში ამტკიცებენ, რომ ქალაქ ტიმიშოარის ჭეშეზში ბრძოლა სწარმოებს. ჯარის ერთი ნაწილი მეამბოხეთა მხარეზე გადავიდა. მაგრამ არმიის უმეტესი ნაწილი მონაწილეობას იღებს ლეგიონერთა ამბოხების ჩაქრობაში.

ნიუ-იორკი, 24 იანვარი (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, „ჯანყიუტლებმა დაიკავეს რადიოსადგურები ბუქარესტში, ბრაშოვში, თავარი ფოსტა და რამდენიმე სხვა საზოგადოებრივი შენობა ბუქარესტსა, პლოეშტსა და ბრაილაში.

მთელს რუმინეთში მოყლულია 2 ათასი კაცი. ბუქარესტის ფარგლების გარეთ და განსაკუთრებით ტრანსილვანიის რუმინულ ნაწილში ბრძოლა გრძელდება. რკინიგვარდიელები კვლავ ინარჩუნებენ ქალაქ არადეა და ტიმიშოარას, აგრეთვე 4 სხვა პატარა ქალაქს ტრანსილვანიაში.

იუნანტედ პრესის სააგენტოს ბუდაპეშტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რუმინეთში წესრიგი ჯერ კიდევ არ არის აღდგენილი. რუმინეთის რადიომ გადასცა ბრძანება, რომელიც მოსახლეობას უკრძალავს ბუქარესტის თავარ საპოლიციო სამმართველოს ახლოს გაჯლა. ანტონესკუმ რადიოთი გადაცემულ განცხადებაში აღნიშნა, რომ იგი მოახდენს მმართველობის სისტემის რეორგანიზაციას და დათმობაზე წავა რკინიგვარდიელთა ხელმძღვანელის ჰორია სიმას მიმართ. გამოიცა დეკრეტი ყველა რკინიგზაზე სამხედრო კონტროლის დაწესების შესახებ.

ბუქარესტი, 24 იანვარი (საკადესი). 2 საათსა და 15 წუთზე რადიოთი გამოცხადდა გენერალ ანტონესკუს განკარგულება, რომლის თანახმად „ყველან, ვინც კიბიცის, თუ სად იმყოფებიან მეამბოხენი, ჰორია სიმით დაწყებული უკანასკნელ ვეგეხლამდე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობის ეს ხელისუფლებს. ის პირნი, ვინც ამ ბრძანებას არ მეესრულებენ, დაისჯებიან ისე, როგორც მეამბოხენი".

ამ განკარგულების გამოქვეყნებასთან ერთად ჯარმა ჩხრეკა დაიწყო. პოეეთან გაჩხრიკეს უნივერსიტეტი, რომელიც ამკამად გარშემორტყმულია ტანკებითა და ფიდმალი ჯარისკაცებით. ჩხრეკა სწარმოებს ფილიპესკუს პარკის რაიონშიც.

ბერლინი, 24 იანვარი (საკადესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიუროო გადმოგვცემს, რუმინეთის მინისტრთა საბჭომ დღეს რადიოთი მოიწვია მოსახლეობა, უჩვენოს იმ პირთა ადგილსამყოფელი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ უკანასკნელი დღეების შეტაკებაში, ასეთ პირთა რიცხვს მიაკუთვნეს აგრეთვე ლეგიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელი ჰორია სიმა.

გერმანიის წრეები რუმინეთის ამბების შესახებ

ბერლინი, 23 იანვარი (საკადესი). ბერლინის ჟურნალისტთა წრეებში გაცხოველებით იხილავენ რუმინეთში შექმნილ მდგომარეობას. პრესაში ამ საკითხზე ჰრავითარი ცნობები არ იბეჭდება. ღღეს უცხოელთა კორესპონდენტები ცდილობდნენ გამოიკვლიათ გერმანიის წრეებში, თუ რა ხდება რუმინეთში. გერმანიის წრეებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ „ღღემდეც გამოუკვლეველია, თუ რა მდგომარეობაა რუმინეთში. უკანასკნელ ხანს რუმინეთში მძიმე კრიზისი გადაიტანა და ამიტომ იქ არც ისე ადვილია წესრიგის დამყარება. ანტონესკუ ცდილობს განაბატკიცოს თავისი ავტორიტეტი. ამას ხელს უშლის ზოგიერთი ელემენტი, რომელნიც ლეგიონერთა პარტიას. ეკუთვნიან. გერმანიას იმედი აქვს, რომ, ერთგვარი სიძნელეების მიუხედავად, ანტონესკუ მაინც შეძლებს თავისი სახელმწიფო ავტორიტეტის განმტკიცებას. ყოველივე იმ ამბებში, რაც რუმინეთში ხდება, გერმანიისა და რუმინეთის არმიები მონაწილეობას არ იღებენ".

გერმანიის ინფორმრერებული პირები შემდეგს დაწერილებთან ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდნენ: „ეს ამბავი ბოლო ორ-სამ დღეში ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ერთ-ერთ ადგილ-ადგილ ... ...